გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ვებგვერდი, 25/07/2012

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №0712/24-1

2012 წლის 24 ივლისი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართებში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №2 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ნომრები 125, 273 და 284 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართში მოცემული რედაქციით.

2. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №2 დანართიდან, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ამოღებულ იქნეს ნომრები 10, 43, 82, 119, 120, 133, 174, 182, 192, 200 და 205.

3. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №3 დანართიდან, სადაც მოცემულია იმ იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან, ამოღებულ იქნეს ნომერი 95.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. როინიშვილი

დაწართი

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ.თარიღი და ადგილი, ეროვნება/მოქალაქეობა)	ფსევდონიმი(ები), ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი (ები), შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
125	*სახელები:* 1. მუსა (MOUSSA) 2. ბენ ომარი (BEN OMAR) 3. ბენ ალი (BEN ALI) 4. ესაადი (ESSAADI) *დაბ.თარიღი:* 04.12.64 *დაბ.ადგილი:* ტაბარკა, ტუნისი (Tabarka, Tunisia) *ეროვნება/მოქალაქეობა:* ტუნისელი	ა) დაჰ დაჰი (Dah Dah); ბ) აბდელრაჰმანი (Abdelrahmman); გ) ბეჩირი (Bechir).	*პასპორტის მონაცემები:* ტუნისის პასპორტი: №L335915 გაცემის ადგილი: მილანი, იტალია (Milan, Italy) გაცემის თარიღი: 08.11.96; მოქმედების ვადა: 07.11.01 *პირადი ნომერი:*	ტუნისი (Tunisia)	25.06.03 (ცვლილებები 20.12.05; 17.10.07; 10.08.09 16.05.11 20.07.12)	2009 წლის ნოემბრის ინფორმაციით, იტალიის სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოცხადებულია ძებნილად. 2011 წელს გადავიდა სუდანიდან ტუნისში.
273	*სახელები:* 1. ფადი (FAHD) 2. მოჰამმედი (MOHAMMED) 3. აჰმედი (AHMED) 4. ალ-ქუსო (AL-QUSO) *დაბ.თარიღი:* 12.11.74 *დაბ.ადგილი:* ადენი, იემენი (Aden, Yemen) *ეროვნება/მოქალაქეობა:* იემენი	ა) ფად ალ-ქუსო (Fahd al-Quso); ბ) ფად მოჰამმედ აჰმენ ალ-ქუსო (Fahd Mohammed Ahmen al-Quso); გ) აბუ ჰუტაიფაჰი (Abu Huthaifah); დ) აბუ ჰუტაიფაჰ ალ-იემენი (Abu Huthaifah al-Yemeni); ე) აბუ ჰუტაიფაჰ ალ-ადანი (Abu Huthaifah al-Adani); ვ) აბუ ალ-ბარა (Abu al-Bara); ზ) აბუ ჰუტაიფაჰ ალ-ადანი (Abu Huthayfah al-Adani);	*პასპორტის მონაცემები:* *პირადი ნომერი:* იემენის ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომერი 2043	აიემენიე(Yemen)	07.12.10 (ცვლილებები 21.06.12)	INTERPOL-ის საქმე 2003/25507, კონტროლის ნომერი: A-652/6-2003. Al-Qaida in the Arabian Peninsula-ს წევრი და ამ დაჯგუფების ლიდერი შაბვას პროვინციაში, იემენი (Shabwa Province, Yemen). არსებული მონაცემებით გარდაიცვალა იემენში 2012 წლის

		თ) ფად მოჰამმედ აჰმედ ალ-ავლაქი (Fahd Mohammed Ahmed al-Awlaqi); ი) ჰუტაიფაჰ ალ-იემენი (Huthaifah al-Yemeni); კ) აბუ ჰუტაიფაჰ ალ-აბუ ალ-ბარა (Abu Huthaifah al-Abu al-Bara); ლ) ფად მუჰამმად აჰმად ალ-კუსი (Fahd Muhammad Ahmad al-Kuss).				6 მაისს.
284	*<u>სახელები:</u>* 1. იბრაჰიმი (IBRAHIM) 2. ავადი (AWWAD) 3. იბრაჰიმი (IBRAHIM) 4. ალი ალ-ბადრი ალ-სამარრაი (ALI AL-BADRI AL-SAMARRAI) *<u>დაბ.თარიღი:</u>* 1971 *<u>დაბ.ადგილი:</u>* ერაყი (Iraq) *<u>ეროვნება/მოქალაქეობა:</u>* ერაყელი (Iraqi)	ა) დრ. იბრაჰიმ „ავვად იბრაჰიმ „ალი ალ-ბადრი ალ-სამარრაი' (Dr. Ibrahim 'Awwad Ibrahim 'Ali al-Badri al-Samarrai') დაბ. თარიღი: 1971; დაბ. ადგილი: სამარა, ერაყი (Samarra, Iraq); (იბრაჰიმ „ავად იბრაჰიმ ალ-ბადრი ალ-სამარრაი; იბრაჰიმ „ავად იბრაჰიმ ალ-სამარრა'ი; დრ. იბრაჰიმ ავად იბრაჰიმ ალ-სამარრა'ი) (Ibrahim „Awad Ibrahim al-Badri al-Samarrai; Ibrahim 'Awad Ibrahim al-Samarra'i; Dr. Ibrahim Awwad Ibrahim al-Samarra'i); ბ) აბუ დუ'ა; აბუ დუაა' (Abu Du'a; Abu Duaa') (ზედმეტი სახელი); გ) დრ. იბრაჰიმი (Dr. Ibrahim); დ) აბუ ბაკრ ალ-ბაღდადი ალ-ჰუსეინი ალ-ქურაიში; აბუ ბაკრ ალ-ბაღდადი (Abu Bakr al-Baghdadi al-Husayni al-Quraishi; Abu Bakr al-Baghdadi).	*<u>პასპორტის მონაცემები:</u>* *<u>პირადი ნომერი:</u>*	ერაყი (Iraq)	05.10.11 (ცვლილებები 20.07.12)	Al-Qaida in Iraq-ის მეთაური, რომელიც ამჟამად მდებარეობს ერაყში (Iraq). დაკისრებული აქვს AQI-ის მსხვილმასშტაბიანი ოპერაციების დაგეგმვა და მართვა.